სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის

ბრძანება 4/2019

ქ. თბილისი 7 აგვისტო, 2019 წელი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის – ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის მიერ ჩატარებული ღონისძიებების შესახებ

როგორც ცნობილია, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს მორიგი 6 წლის ვადით მიენიჭა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (უნივერსიტეტის) სტატუსი. გარდა ამისა, საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად ტექნიკურ უნივერსიტეტს განესაზღვრა ერთი წლის ვადა. აღნიშნული რეკომენდაციების ფარგლებში მომზადდა ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის აკადემიური მიღწევების და ანკეტების (CV) საძიებო სისტემა. ინსტიტუტში ამ რეკომენდაციების შესრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად

ვბრძანებ:

1. შეიქმნას კომისია შემდეგი შემადგენლობით:

   გიორგი გიორგობიანი, კომისიის თავმჯდომარე,
   ზაზა სანიკიძე, კომისიის წევრი,
   მარინა მენთეშაშვილი, კომისიის წევრი.

2. კომისიას დაევალოს ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალის მიერ შედგენილი აკადემიური მიღწევების და ანკეტების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა.

3. კომისიამ თავისი საქმიანობის შედეგები განსახილველად წარუდგინოს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიმდინარე წლის 10 სექტემბრამდე.

დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი

გიორგი გიორგობიანი